კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024 წელი

მედიცინის ფაკულტეტი

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

სტომატოლოგია

0911.1.1

მოდიფიცირებული პროგრამა

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე

ოქმი N 03-2024, 19 აპრილი, 2024 წელი

აკადემიური საბჭოს დადგენილებით N 03-2024

19 აპრილი, 2024 წელი

1. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება

სტომატოლოგია

2. უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური

ერთსაფეხურიანი

3. საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი

აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

4. ფართო სფერო

ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა

Health and Welfare

5. ვიწრო სფერო

ჯანდაცვა

Health

6. დეტალური სფერო

დენტალური მედიცინა

Dental Studies

7. სწავლის სფერო

სტომატოლოგია

Dental Medicine

8. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

300 კრედიტი

9. სწავლის ხანგრძლივობა

5 წელი, 10 სემესტრი

10. სწავლების ფორმა

დასწრებული

11. სწავლების ენა

ქართული

12. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

დიპლომირებული სტომატოლოგი

Doctor of Dental Medicine (DDM)

13. პროგრამის ხელმძღვანელი

ლელა წიტაიშვილი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი სტომატოლოგიის სპეციალობით.

14. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 48-ე მუხლის I პუნქტის თანახმად, სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“, მუხლი 52).

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს გადაწყვეტილების /თანხმობის საფუძველზე.

უცხო ქვეყნის მოქალაქე, ვალდებულია დაადასტუროს ქართული ენის ცოდნა, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია როგორც აბიტურიენტებისთვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. **http://www.ciu.edu.ge.**

15. სწავლების პერიოდი და მოცულობა

- ერთი აკადემიური წელი მოიცავს **38 კვირას;**
- I სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა;**
- II სემესტრის ხანგრძლივობაა **19 კვირა.**

აქედან:

ა) **1-15კვირა** სასწავლო პერიოდია, ტარდება ლექცია–სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები, შუალედური გამოცდები, პრეზენტაციები, რეფერატების მომზადება, დაცვადა ა.შ.

ბ) **მე-16 – მე–18 კვირა** დასკვნითი გამოცდების პერიოდია;

გ) **მე–19 კვირას** ტარდება განმეორებითი გამოცდები.

16. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

„სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა“ ორიენტირებულია საუნივერსიტეტო განათლების, სტომატოლოგიაში საბაზისო და კლინიკური თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარ–ჩვევების და მაღალი ეთიკური ღირებულებების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე, პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებაზე.

აქედან გამომდინარე პროგრამის მიზანია:

- თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მიღება;
- საბაზისო მეცნიერებების შესწავლა;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის ცოდნა და ამ სისტემაში სტომატოლოგის როლის გაცნობიერება;
- სპეციალური კლინიკური დისციპლინების სიღრმისეული შესწავლა;
- ექიმ-სტომატოლოგის კომპეტენციის შესაბამისად ზოგადი კლინიკური უნარების ათვისება, კვალიფიციური პირველადი დახმარების და რეანიმაციული ღონისძიებების გაწევის მიზნით;
- სტომატოლოგიური საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლება, კლინიკური, დიაგნოსტიკური, პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარება;
- ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა;
- უწყვეტი სამედიცინო განათლების და პროფესიული განვითარების აუცილებლობის მოტივაცია;
- შემდგომში, რეზიდენტურაში ან დოქტორანტურაში სწავლის გაგრძელებისათვის მომზადება.

17. სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა- 300 კრედიტი

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა არის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე შესაბამისი პროფესიისათვის.

სწავლების აუცილებელი პირობაა ფუნდამენტური (თეორიული, საბაზისო) და პრაქტიკული (კლინიკური) სასწავლო კურსების ინტეგრაცია, შესაბამისი ქცევითი კომპონენტების გამომუშავების მიზნით.

სავალდებულო კომპონენტები: 289 კრედიტი, მათ შორის:

- საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები – **19 კრედიტი;**
- საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები **–30 კრედიტი;**
- სწავლის სფეროს საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსები – **85 კრედიტი;**
- სწავლის სფეროს კლინიკური სავალდებულო სასწავლო კურსები – **155 კრედიტი;**

არჩევითი კომპონენტები: 11 კრედიტი, მათ შორის:

საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები– **5 კრედიტი;**

საფაკულტეტო არჩევითი სასწავლო კურსები –**6 კრედიტი**

18. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები (სწავლების მეთოდოლოგია)

სწავლის პროცესი სწავლების თანამედროვე მეთოდებზეა დაფუძნებული. მათ შორის ძირითადია ინტერაქტიური ლექციები, ქეისების ანალიზი, ინდივიდუალური და ჯგუფური პრეზენტაციები, რეალურ თეორიულ და კლინიკურ შემთხვევებზე და მასალებზე დაფუძნებული სემინარები.

საგანმანათლებლო პროგრამით სწავლების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას უზრუნველყოფს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობათა ციკლი. **თეორიულ მეცადინეობათა დანიშნულებაა** – სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი თემების თეორიულ ჭრილში განხილვა და სტუდენტის უზრუნველყოფა სავალდებულო ლიტერატურითა და შესასწავლი დისციპლინის მეთოდოლოგიური საფუძვლების შესახებ ინფორმაციით.

პრაქტიკულ მეცადინეობათა დანიშნულებაა – სტუდენტის მიერ შეძენილი თეორიული ცოდნის გაღრმავება-განტკიცება; შესასწავლი საკითხის არსისა და მნიშვნელობის სათანადო გააზრება, პრაქტიკაში მისი გამოყენების შესაძლებლობათა გამოკვეთა; საგნობრივ სფეროში გადაწყვეტილებათა მომზადება-მიღების პროცესებზე ზემოქმედი ფაქტორების ანალიზისა და ობიექტურად შეფასების, აგრეთვე პრაქტიკული საქმიანობისა და დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სწავლების აქტიური მეთოდებით ხელმძღვანელობას.

ლექციებზე ძირითადად გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** - ლექციისა და სემინარის ზეპირი გადაცემა, პრეზენტაცია;
- **სემინარის და სასწავლო მასალის ზეპირი პრეზენტაცია Power Point-ით** - რეალურ თეორიულ და კლინიკურ შემთხვევებზე და მასალებზე დაფუძნებული სემინარები;
- **TBL-Team Based Learning- გუნდურ მუშაობაზე დაფუძნებული სწავლება;**
- **CBCR (Case-Based Clinical Reasoning) - შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური მსჯელობა;**
- **FC-Flipped Classroom - "შებრუნებული კლასის" მეთოდი.**

- **ჯგუფში დისკუსია/დებატები** - სტუდენტების კამათში გამოწვევა, ინტერაქტიული ლექციის დროს საკუთარი აზრის დაფიქსირება;
- **წიგნზე მუშაობის მეთოდი;**
- **წერითი მუშაობის მეთოდი,** რომელიც გულისხმობს: ტესტურ მუშაობას, ქვიზების, სავარჯიშოებისა და ამოცანების ამოხსნას, ძირითადი და დამატებითი სასწავლო ლიტერატურიდან კონსპექტების, თეზისებისა და რეფერატების მომზადებას;
- **თანამშრომლობითი მეთოდი** - სტუდენტთა შეძენილი ცოდნის და გადმოცემის უნარის ურთიერთშეფასება, სტუდენტთა თვითშეფასების გამოყენება საბოლოო შეფასების ფორმირებისას;
- **ბრეინსთორმინგი** - გულისხმობს სტუდენტთა გონებრივი შესაძლებლობების რეალიზაციის სტიმულირებას, რომლის დროსაც ერთი საკითხის ირგვლივ ხდება სტუდენტთა სხვადასხვა იდეების გენერირება და მათი კლასიფიკაცია პრიორიტეტულობის მიხედვით;

- **დემონსტრირების მეთოდი;**

- **ინოვაციური ინფორმაციის/მასალის მოძიების მეთოდი;**

- **სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა;**

პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის განმტკიცებასა და პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევათა გამომუშავებას მნიშვნელოვნად უწობს ხელს სწავლების შემდეგი მეთოდები:

- **კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული (CBL) მეთოდი,** რომელიც აღწერს კონკრეტულ სიტუაციებს, კლინიკურ შემთხვევებს, პრობლემებს, საჭიროებს განსჯას და გამოდის სტუდენტთა ლოგიკური აზროვნების წამახალისებლის როლში;
- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) მეთოდი** - ეს მეთოდი სასწავლო პროცესს აკავშირებს გადაწყვეტილებების მიღების და პრობლემების გადაჭრის უნარების გამომუშავებასთან, რაც ესოდენ საჭიროა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მედიცინაში. ხელმძღვანელთან მუშაობის პროცესში სტუდენტები განიხილავენ კლინიკურ შემთხვევებს, აყალიბებენ შესაძლებელ პრობლემებს, მსჯელობენ სავარაუდო დიაგნოზზე, დიაგნოსტიკურ მეთოდებზე, სწავლობენ მკურნალობის გეგმას, ისმენენ სხვათა მოსაზრებებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით;
- **ჯგუფში დისკუსია/დებატები** - პრაქტიკული მეცადინეობების დროს სტუდენტების კამათში გამოწვევა, საკუთარი აზრის დაფიქსირება;
- **გუნდური მუშაობა,** რაც ითვალისწინებს აკადემიურ ჯგუფებში 5-6 კაციანი გუნდების ჩამოყალიბებას, გუნდების მიერ სემინარებისა და დროში გაწერილი სასწავლო-შემოქმედებითი პროექტების ერთობლივ პრეზენტირებას, გუნდებს შორის ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას;
- **კლინიკური როტაციები** საუნივერსიტეტო და სასწავლო სტომატოლოგიურ და ზოგადი პროფილის კლინიკებში;
- ავადმყოფის საწოლთან სწავლება/ **სავარძელთან სწავლება“** (**bedside-teaching**, **ChT-Chairside Teaching;**
- **როლური თამაში**- ექიმისა და პაციენტის როლის შესრულება;
- **პრაქტიკული დავალება** ზედამხედველობის ქვეშ;
- **კლინიკურ გარემოში სწავლა და კლინიკური აზროვნების განვითარება;**
- **სასწავლო ვიდეოფილმების გამოყენება;**
- **სწავლება სიმულატორების გამოყენებით;**
- **პირველადი დახმარებისთვის და ექიმ სტომატოლოგის კომპეტენციისთვის საჭირო პრაქტიკული პროცედურების ჩატარება შესაბამისად აღჭურვილ სასწავლო გარემოში;**
- **ლაბორატორიული მეცადინეობები;**

19. სწავლა, სწავლება და შეფასება

სწავლების აუცილებელი პირობაა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია, კლინიკური უნარ-ჩვევების განვითარება ვირტუალური სიმულაციის ცენტრში (უმცროსკურსელებისთვის) და კლინიკურ გარემოში (უფროსკურსელებისთვის). სწავლებისას უნივერსიტეტმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს ახალ ტექნოლოგიებს. სწავლება ხორციელდება შემდეგი მეთოდებით:

დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, შემთხვევის ანალიზი, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, აუცილებელია სწავლების პროცესში სიმულანტებისა და მულაჟების გამოყენება. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულებმა უნდა შეძლონ სწავლის პროცესში გამომუშავებული კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება დამოუკიდებლად, სიმულატორებზე ან ზედამხედველობის ქვეშ.

ცოდნისა და უნარების შეფასებისას გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც ზეპირი, ასევე ტესტური გამოცდები, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE), პრეზენტაციები, რეფერატი/თეზისი. ასევე,

DOPS (Direct Observation for Procedural Skills) პირდაპირი დაკვირვება პროცედურული უნარების დემონსტრირებაზე; Mini-CEX (Mini Clinical Evaluation Exercise) - მინი-კლინიკური სავარჯიშოს

შეფასება, რომელიც გამოიყენება კლინიკური უნარების შესაფასებლად, კლინიკურ გარემოში პაციენტთან მუშაობის დროს.

სწავლების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია სწავლების შემდეგი ფორმების გამოყენება:

- ინტერაქტიური ლექციები, სემინარები, შუალედური გამოცდები;
- კლინიკურ გარემოში სწავლება
- სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენება;
- პაციენტისა და ექიმის როლების შესრულება;
- ლაბორატორიული სწავლება;
- პრეზენტაციები;
- სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა;
- პრაქტიკული კურსების გავლა კლინიკურ ბაზებში;

შედეგზე ორიენტირებული სწავლების აუცილებელი მოთხოვნაა სტუდენტის ადრეული ჩართვა სამეცნიერო მუშაობაში. კურიკულუმში სტუდენტის კვლევაში მონაწილეობას განსაზღვრული საათები ეთმობა. მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტები სწავლობენ არა მხოლოდ სამეცნიერო ინფორმაციის კრიტიკულად შეფასებას, არამედ კვლევის ორგანიზაციის, წარმართვის, ანალიზის, შედეგების წარმოდგენის ძირითად პრინციპებს. სტუდენტები ესწრებიან და მონაწილეობენ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში.

საბაზო სამედიცინო განათლების დასრულებისას სწავლის შედეგების შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებასაც.

რეკომენდაციები სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების შეფასების შესახებ დეტალურად არის მოცემული WFME-ისა და MEDINE-ის ერთობლივ დოკუმენტში - სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესების გლობალური სტანდარტები ევროპული სპეციფიკის გათვალისწინებით, და შეესაბამება TUNING/MEDINE-ის მიერ შემუშავებულ კომპეტენციებს.

კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაზო სამედიცინო განათლებაში. საუნივერსიტეტო კლინიკებში პაციენტთან უშუალო კონტაქტი სტუდენტს სწორედ ისეთ კლინიკურ უნარ–ჩვევებს გამოუმუშავებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე.

სამომავლოდ, სწავლებისას გამოყენებულ იქნება ისეთი კომპიუტერიზებული სასწავლო პროგრამები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ რეალურ დაავადებას, დიაგნოსტიკურ ან სამკურნალო პროცედურას.

20. სწავლის შედეგები

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით.

პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესატყვისება კურსდამთავრებულთა მიერ დიპლომისშემდგომი განათლების გაგრძელებისათვის საჭირო ცოდნას და უნარებს, ასევე, უკვე მიღებული კომპეტენციის ფარგლებში დასაქმების შესაძლებლობას.

ცოდნა და	**საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს:** • აქვს მედიცინის საბაზისო დისციპლინების (ანატომია, ჰისტოლოგია,

გაცნობიერება	ფიზიოლოგია, პათოლოგია) ცოდნა და აცნობიერებს დარგობრივ სფეროში სტომატოლოგიური პაციენტის მდგომარეობის, ნორმისა და პათოლოგიის შეფასებაში მისი გამოყენების მნიშვნელობას. იცის თანამედროვე სტომატოლოგიური აპარატურის მოქმედების პრინციპები გამოყენება, სტომატოლოგიური ხელსაწყოების და ინსტრუმენტების დანიშნულება და მათი მანევრირების პრინციპები; • იცნობს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გაცნობიერებული აქვს სტომატოლოგის, როგორც სპეციალისტის დანიშნულება მასში; გაცნობიერებული აქვს სტომატოლოგის როლი ადამიანის ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და უზრუნველყოფის საქმეში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ, პროფესიულ გუნდში საქმიანობის კონტექსტში; იცის ეთიკის პრინციპები; • იცის ანამნეზის შეკრება; ობიექტური გამოკვლევის ჩატარება; შესაბამისი სტომატოლოგიური კლინიკური და პარაკლინიკური გამოკვლევების საჭიროებისამებრ დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია; ავადმყოფობის ისტორიის დაწერა; აქვს კლინიკური აზროვნება და შეუძლია გადაწყვეტილების მიღება; • აქვს ცოდნა ორგანიზმის ფუნქციური მდგომარეობის ძირითადი პარამეტრების შესახებ; • იცის ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა და სიცოცხლის შემანარჩუნებელი ღონისძიებების გაიდლაინები; • აქვს პრატიკული ცოდნა, იცის სამუშაო ველის იზოლაცია საიზოლაციო სისტემების მეშვეობით; კარიესული ღრუების პრეპარირება ბლეკის კლასიფიკაციის მიხედვით, საბჟენი მასალების დანიშნულება და გამოყენება, ინტრაკორონალური და ინტრარადიკულური პრეპარირება; ენდოდონტიური მანიპულაციების ჩატარების თანმიმდევრობა, ტექნიკა , მეთოდები, გამოყენებული მასალები. პაროდონტოლოგიური პაციენტის გამოკვლევის მეთოდები, ანესთეზიის ჩატარების ტექნიკა, მეთოდები, გამოყენებული საანესთეზიო მასალები; იცის ანესთეზიის და ექსტრაქციის გართულებების პრევენციისა და მკურნალობის შესახებ. • იცის ორგანიზმის ზოგადი და სტომატოლოგიური დაავადებების კლასიფიკაცია, კლინიკა, დიაგნოსტიკა, დიფერენციალური დიაგნოსტიკა და მკურნალობის და პროფილაქტიკის პრინციპები, როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა და მოზარდთა თერაპიულ სტომატოლოგიაში, ბავშვთა და მოზარდთა ქირურგიულ სტომატოლოგიაში მოზრდილთა ქირურგიულ სტომატოლოგიაში და ყბა–სახის ქირურგიაში , ორთოდონტიულ, ორთოპედიულ სტომატოლოგიასა და ყბა–სახის ორთოპედიაში; • იცის სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგია, სამეცნიერო კვლევის მეთოდების, კვლევის დიზაინის შესახებ. აცნიობიერებს პრაქტიკულ საქმიანობაში ბიომედიცინის მეცნიერებების მიღწევათა გამოყენების მნიშვნელობას; • აცნობიერებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების მნიშვნელობას, პრობლემასთან დაკავშირებული ლიტერატურის მონაცემთა მოძიების საჭიროებას პრაქტიკული და თეორიული ცოდნის განმტკიცებისათვის;

უნარი	• იცის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენება და აცნობიერებს მათ მნიშვნელობას თავისი პროფესიული ცოდნის სრულყოფისა და კარიერულ წინსვლისათვის. **პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია:** • სტომატოლოგიური ჩარევის მოცულობის და მიმართულების განსაზღვრა; შესაბამისი კლინიკური და პარაკლინიკური გამოკვლევების საჭიროებისამებრ დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია; საჭიროების შემთხვევაში სტომატოლოგიური პაციენტის სწორად გადამისამართება შესაბამისი დარგის სპეციალისტთან; ინფექციის კონტროლის, ასეპტიკისა და ანტისეპტიკის, სტერილიზაციის პრინციპების დაცვა, პაციენტისა და ექიმ–სტომატოლოგის უსაფრთხოების წესების დაცვა; • იცის პაციენტისა და ექიმ–სტომატოლოგის უსაფრთხოების წესების დაცვა , განსაკუთრებით საშიშ ინფექციებთან ბრძოლა-იარაღების სტერილიზაცია, ზედაპირების დეზინფექცია; ნარჩენების მართვა. ჯანდაცვის ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა, როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე. პირველადი, მეორეული და მესამეული პროფილაქტიკის ღონისძიებების განხორციელება და მასში პაციენტის ჩართულობის უზრუნველყოფა; სხვადასხვა დაავადებათა პრევენციის, ჯანმრთელი ცხოვრების წესის პროპაგანდა; დაავადებათა კონტროლი და მისი ეტაპებისა და მეთოდების გაცნობა ადამიანებისათვის; • პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა; პაციენტის ცხოვრებისა და დაავადების ანამნეზის შეკრება, ობიექტური გამოკვლევის ჩატარება; კლინიკური შემთხვევის სირთულის შეფასება; კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება; კლინიკური სიტუაციიდან გამომდინარე სტომატოლოგიის სხვადასხვა დარგის სპეციალისტების კონსულტაციის საჭიროების განსაზღვრა, განმარტებებისა და რჩევების მიცემა პაციენტისათვის და/ან მისი თანხმლები პირისთვის, პაციენტის გამხნევება და მისი უფლებების დაცვა; პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასება; • პაციენტის სასიცოცხლო ნიშნების განსაზღვრა: პულსი,სუნთქვა, სხეულის ტემპერატურა, შეუძლია პაციენტის არტერიული წნევის,პაციენტის სატურაციის გაზომვა, ხელების დაბანა და ხელთათმანების გამოყენება; ვენეპუნქცია, კანქვეშ და კუნთში ინიექციის გაკეთება, წამლის ინტრავენურად შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება, კანზე და ლორწოვანზე ნაკერის დადება; • გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და სიტუაციის შეფასება, ბაზისური პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა გაიდლაინების შესაბამისი ბაზისური სიცოცხლის შემანარჩუნებელი და კარდიოპულმონური სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარება; ბავშვებსა და მოზრდილებში,ტრავმის დროს დაზიანების ამოცნობა, მისი ხარისხის შეფასება და პირველადი გადაუდებელი დახმარების გაწევა

	გაიდლაინების შესაბამისად; • პრაქტიკული სტომატოლოგიური მანიპულაციების განხორციელება; სამუშაო ველის იზოლაცია საიზოლაციო სისტემების მეშვეობით; კბილის მაგარი ქსოვილების დეფექტების პრეპარირება და რესტავრაცია, საბჟენ-სარესტავრაციო მასალათა შერჩევა და ჩვენების მიხედვით მათი სწორად გამოყენება; პრაქტიკული ენდოდონტიური და პაროდონტოლოგიური მანიპულაციების შესრულება; • კარიესის არაკარიესულ და კარიესულ დაავადებათა, პულპისა და პერიოდონტის დაავადებათა, პაროდონტის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანებების და პათოლოგიების დიაგნოსტიკის, დიფერენციული დიაგნოსტიკის განხორციელება, მკურნალობის სქემის შედგენა, მკურნალობის მეთოდების შერჩევა და მკურნალობის დაგეგმარება როგორც ბავშვთა ასაკში ასევე მოზრდილებში. ყბა-სახის მიდამოს დაავადებათა სამკურნალო მედიკამენტების შერჩევა, ტკივილის მართვა სტომატოლოგიაში; საჭიროებისამებრ საანესთეზიო ნივთიერებათა სწორი შერჩევა და ანესთეზირება; სარძევე და მუდმივი კბილების ექსტრაგირება; ყბა-სახის მიდამოს სხვადასხვა ეტიოლოგიის ქირურგიულ დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა მოზრდილებში და ბავშვთა ასაკში, ორთოპედიულ და ორთოდონტიულ პათოლოგიათა, თანკბილვის ანომალიათა დიაგნოსტიკა, მკურნალობის გეგმის შედგენა და შესაბამისი კონსტრუქციის აპარატის შერჩევაში მონაწილეობა; • შეუძლია კვლევის დიზაინის შემუშავება, დაგეგმვა, მიღებული შედეგების ანალიზი და დასკვნების გამოტანა, პრაქტიკულ საქმიანობაში ბიოსამედიცინო მეცნიერებათა მიღწევების გამოყენება,სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე რეფერატის/ მიმოხილვის დაწერა, სამეცნიერო კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვა; • მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება, პრობლემასთან დაკავშირებული ლიტერატურის მოძიების საჭიროების განსაზღვრა და ძიების ჩატარება,პრობლემასთან დაკავშირებული ლიტერატურის მონაცემთა ანალიზი, მათი კრიტიკული შეფასება, დასკვნების გამოტანა და პრობლემის გადასაჭრელად მათი პრაქტიკაში გამოყენება; • შეუძლია ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება: სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება; სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება და საკუთარი სწავლის პროცესის მართვა; აცნობიერებს რა, რომ სწავლა უწყვეტი პროცესია, შეუძლია ახალი ცოდნის მიღების ყველა შესაძლებლობის გამოყენება; • შეუძლია ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება სამედიცინო პრაქტიკაში- პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება, კონფიდენციალობის დაცვა, კოლეგებთან და პაციენტთან ურთიერთობის ყველა ეტაპზე ეთიკის პრინციპების დაცვა, სამედიცინო დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოება, შენახვა და დაცვა, საქართველოს კანონმდებლობის ეფექტური კომუნიკაცია ნებისმიერ

	პირთან, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	**პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს დამოუკიდებლად შეუძლია:** • სტომატოლოგიურ განყოფილებებში და კაბინეტებში სანიტარული და ჰიგიენური მოთხოვნილებების ორგანიზება; ასეპტიკის ძირითადი პრინციპების განხორციელება-დეზინფექცია-სტერილიზაცია; სტომატოლოგის კაბინეტში ბიოუსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (მათ შორის ნარჩენების მართვა); • სტომატოლოგიური დანადგარებთან და მათ ძირითად შემადგენელ ელემეტებთან მანიპულირება, სტაციონალური და პორტატული დანადგარების დანიშნულებისამებრ და ფუნქციებისამებრ გამოყენება; სხვადასხვა სახის ბუნიკების და ბორების გამოყენება; • პაციენტის ჩივილების მოსმენა, მისი გარეგნული სახის დათვალიერება, კბილების პაროდონტის ქსოვილებისა და ლორწოვანი გარსის მდგომარეობის შეფასება; ანამნეზის შეკრება; ობიექტური გამოკვლევის ჩატარება; განმარტებებისა და რჩევების მიცემა; • სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკის ინდივიდუალური რეკომენდაციების შემუშავება და გატარება პაციენტის ასაკისა და სტომატოლოგიური სტატუსის გათვალისწინებით; კბილის კარიესის და პაროდონტის დაავადებათა პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება; სამედიცინო ბარათის შევსება; • პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასება; პაციენტის გამხნევება და მისი უფლებების დაცვა;იცნობს ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს; აქვს ეთიკის ცოდნა; • გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის ამოცნობა და შეფასება; კლინიკური შემთხვევის სირთულის გაცნობიერება და შეფასება, შესაბამისი სტომატოლოგიური კლინიკური და პარაკლინიკური გამოკვლევების საჭიროებისამებრ დანიშვნა და შედეგების ინტერპრეტაცია; • ბაზისური პირველადი დახმარების გაწევა (ვენეპუნქცია, კანქვეშ და კუნთში ინექციის გაკეთება, წამლის ინტრავენურად შეყვანა და ინფუზიის მოწყობილობის გამოყენება კანზე); ნაკერის დადება; ტრავმების ადგილზე დახმარების აღმოჩენა და გართულებების პროფილაქტიკა; სისხლდენისას ჭრილობაზე ნახვევის დადება; ტკივილის მკურნალობა; • სწავლის პროცესში შეძენილი კომპეტენციები კურსდამთავრებულს დაეხმარება ავტონომიურად გადაწყვიტოს ნებისმიერი საკითხი თერაპიულ, ქირურგიულ, ორთოპედიულ სტომატოლოგიასა და ორთოდონტიაში, შემდგომი საექიმო პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისას.

კურსდამთავრებულს შეუძლია მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება

- მტკიცებულებების გამოყენება პრაქტიკაში;
- შესაბამისი ლიტერატურული კვლევის სწორად განსაზღვრა და ჩატარება;
- გამოქვეყნებული ლიტერატურის კრიტიკული შეფასება, დასკვნების გამოტანა და პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.

კურსდამთავრებულს შეუძლია სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება:

- კლინიკური ჩანაწერების მოწესრიგებულად და სრულად შენახვა;
- პრაქტიკულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- სპეციფიკური საინფორმაციო რესურსების მოძიება;
- ინფორმაციის შენახვა და შემდეგ მისი გამოყენება;
- პირადი ჩანაწერების შენახვა (პორტფოლიო).

კურსდამთავრებულს შეუძლია სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება

- სამეცნიერო კვლევის წარმოების მეთოდოლოგიის ცოდნა;
- კვლევის დიზაინის, დეტალური დაგეგმვის, მიღებული შედეგების დამუშავება და დასკვნების გაკეთება;
- პრაქტიკულ საქმიანობაში ბიომედიცინის მეცნიერებების მიღწევათა გამოყენება;
- ბიომედიცინაში სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე რეფერატის/მიმოხილვის დაწერა;
- აქვს სამეცნიერო კვლევის წარმართვის ეთიკის პრინციპების ცოდნა.

კურსდამთავრებულს შეუძლია ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა

- მკურნალობის ჩატარება, რომელსაც მინიმუმამდე დაჰყავს პაციენტისთვის ზიანის მიყენების რისკი;
- ინფექციის გავრცელების აღკვეთის ღონისძიებების გატარება;
- საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემების გაცნობიერება და პროფესიულ მოვალეობებთან მიმართებით საკუთარი ჯანმრთელობის შეფასება;
- ჯანდაცვის ხელშეწყობის ღინისძიებებში მონაწილეობა, როგორც ინდივიდის, ასევე პოპულაციის დონეზე.

კურსდამთავრებულს შეუძლია სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება:

- შეუძლია პაციენტის უფლებების დაცვა;
- პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა ნებისმიერ პირთან, განურჩევლად მისი სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა;
- პაციენტთან და კოლეგებთან ურთიერთობისას სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინება;
- კონფიდენციალობის დაცვა;
- მკურნალობის დროს ეთიკის პრინციპებისა და ანალიზის უნარის გამოყენება;
- ინფორმირებული თანხმობის მიღება და სათანადო ჩანაწერის გაკეთება;

• სამედიცინო საქმიანობის წარმართვა მულტიკულტურულ საზოგადოებაში.

21. სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა.

სტუდენტის მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო შეფასება ითვალისწინებს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებებს. შუალედური შეფასება მოიცავს ყოველკვირეულ მიმდინარე შეფასებებს და შუალედური გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს თავისი პროცენტული წილი აქვს შეფასების საერთო სისტემაში.

ყოველკვირეული მიმდინარე შეფასების მიღება სტუდენტს შეუძლია ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში, სემინარებსა და პრაქტიკულ - ლაბორატორიულ მეცადინეობებზე აქტიურობით, საშინაო დავალებების შესრულებით, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობით, წერითი ქვიზების შესრულებით, რეფერატების მომზადებითა და პრეზენტაციებით, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადებითა და პრეზენტაციით და ა.შ. ყოველკვირეულ **მიმდინარე შეფასებებში სტუდენტს შეუძლია 40 ქულის დაგროვება;**

- **თითოეულ საგანში შუალედური გამოცდა ტარდება სემესტრში ერთხელ და ფასდება 20 ქულით;**
- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება: კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორი;
- **შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა სულ შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა;**
- **შუალედური შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 25 ქულის ტოლია;**
- **დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა.**
- **დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულის ტოლია;**
- **დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება სტუდენტს,** რომელსაც **შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულების ჯამით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა;**

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

ცოდნის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები:

მაქსიმალური დადებითი შეფასებაა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა;

1. ლექციებსა და სამუშაო ჯგუფში მუშაობა (ლექციებზე, სემინარებსა და პრაქტიკულ - ლაბორატორიულ მეცადინეობებზე აქტიურობა, საშინაო დავალებების შესრულება, კონკრეტული სიტუაციური ამოცანის ამოხსნაში მონაწილეობა, წერითი ქვიზების შესრულება, რეფერატების მომზადება და პრეზენტაცა, ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტების მომზადება, პრეზენტაცია და ა.შ.) **33–35 ქულა;**

წინასწარ არჩეული თემის პრეზენტაცია, რეფერატის, ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის მომზადება და დაცვა – 5–7 ქულა;

2. შუალედური გამოცდა – 20 ქულა;

3. დასკვნითი გამოცდა – 40 ქულა;

4. საბოლოო შეფასება – 100 ქულა.

სწავლების პროცესში სტუდენტის ცოდნა შეფასდება ლექცია-სემინარებზე დისკუსიაში მონაწილეობის, სემინარებზე აქტიურობის, პრაქტიკული, ლაბორატორიული და წერითი დავალების შესრულების, ზეპირი პრეზენტაციის, კითხვებზე პასუხის გაცემის, რეფერატის, კონფერენციისათვის მოხსენების გაკეთების, სპეციალურად შემუშავებული ტესტების, კითხვარების საშუალებებით.

ლექციებზე აქტიურობისა და სამუშაო ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობებზე შეფასება, შეიძლება განსხვავებული იყოს სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორის მოსაზრებიდან გამომდინარე. სწავლების პროცესში სტუდენტის ცოდნის უწყვეტი შეფასებისათვის გამოყენებულ წესს, ფორმებს, ქულებსა და კრიტერიუმებს განსაზღვრავს სასწავლო კურსის პროფესორი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან და სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით. შეფასების წესი, ფორმები, მეთოდები და კრიტერიუმები მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების **ევროპული სისტემის (ECTS)** და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ შესაბამისი შეფასების სისტემით.**

შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

(C) კარგი – 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა
დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: სტუდენტს, რომელმაც ვერ ჩააბარა დასკვნითი გამოცდა და დაიმსახურა **FX შეფასება, დამატებით გამოცდაზე** გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში, **ძირითადი გამოცდების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.**

22. საშუალო აკადემიური შეფასება (GPA)

უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიური მოსწრების დონე განისაზღვრება როგორც სასწავლო კურსებში მიღებული ქულებით, ასევე აღნიშნული ქულების **4 ბალიანი ექვივალენტით - საშუალო აკადემიური შეფასებით (GPA).**

23. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი / კვალიფიკაცია

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია და ეძლევა შესაბამისი პროგრამის დასრულების დამადასტურებელი სახელმწიფო ნიმუშის დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

აკადემიური ხარისხის / კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 300/305 ECTS კრედიტის დაგროვება.

24. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება **კუმულატიური GPA,** რის მიხედვითაც უნივერსიტეტი კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

GPA 3.5 და მეტი – წარჩინების დიპლომი: კომპეტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით; ყველა საგანში დადებითი შეფასება

GPA 3.5-ზე ნაკლები- ჩვეულებრივი დიპლომი.

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა.

25. დასაქმების სფერო

ერთსაფეხურიანი უმაღლესი სამედიცინო განათლების კურსდამთავრებულს (დიპლომირებულ სტომატოლოგს), მოქმედი კანონმდებლობით, არა აქვს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო აკრედიტაციის მქონე უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი და ამ კანონით დადგენილი წესით მიიღო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერთიფიკატი“ (კანონი„საექიმო საქმიანობის შესახებ“, მე-7 მუხლი).

დიპლომირებული სტომატოლოგის დასაქმების სფეროებია:

- საექიმო საქმიანობა უმცროს ექიმად. უმცროსი ექიმი ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით (კანონი `საექიმო საქმიანობის შესახებ~, მე-5 მუხლი);

• პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა.

26. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დიპლომირებული სტომატოლოგის კვალიფიკაციის/აკადემიური ხარისხის მქონე პირს უფლება აქვს, სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში, ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება.

კომპეტენციათა რუქა

სასწავლო კურსი	ცოდნა და გაცნობიერება	უნარი	პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა
ინგლისური ენა 1/ინგლისური ენა 1დამწყებთათვის	X	X	
ინგლისური ენა 2/ინგლისური ენა 2დამწყებთათვის	X	X	
ინგლისური ენა 3 დამწყებთათვის	X	X	
საქართველოს ისტორია	X	X	
წერის უნარები	X	X	
სამედიცინო ბიოლოგია	X	X	
სამედიცინო ბიოეთიკა	X	X	
პრევენციული მედიცინა	X	X	
ბიოსტატისტიკა	X	X	
ლაბორატორიული მედიცინა	X	X	
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მენეჯმენტი და ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები	X	X	
სამეცნიერო კვლევის საფუძვლები (საინფორმაციო ბაზები, კვლევის მეთოდები)	X	X	
სამეცნიერო კვლევის უნარები (დამოუკიდებელი კვლევის დაგეგმარება)	X	X	X
სამედიცინო ფსიქოლოგია	X	X	
სამეცნიერო ნაშრომის წერა	X	X	X
ადამიანის ნორმალური ანატომია (საყრდენ-მამოძრავებელი და შინაგანი ორგანოების ანატომია) სტომატოლოგებისთვის	X	X	
ზოგადი ჰისტოლოგია, ციტოლოგიით სტოამტოლოგებისთვის	X	X	
შესავალი ბიოქიმიაში	X	X	
ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგია (ზოგადი)	X	X	

სტომატოლოგებისათვის			
ბიოფიზიკა	X	X	
ადამიანის ნორმალური ანატომია (გულ-სისხლძარღვთა სისტემა და ნეიროანატომია) სტომატოლოგებისთვის	X	X	
კერძო (ორგანოთა სისტემების) ჰისტოლოგია	X	X	
ზოგადი ბიოქიმია სტომატოლოგებისათვის	X	X	
ადამიანის ნორმალური ფიზიოლოგია (ორგანოთა სისტემები) სტომატოლოგებისთვის	X	X	
ზოგადი მიკრობიოლოგია სტომატოლოგებისთვის	X	X	
თავისა და კისრის ტოპოგრაფიული ანატომია და ოპერაციული ქირურგია	X	X	
პათოლოგია (ზოგადი პათოლოგია, ადგილობრივი სისხლის მიმოქცევის, ანთების, ცხელების, ქსოვილური ზრდის პათოლოგია)	X	X	
კერძო ბიოქიმია	X	X	
გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	X	X	
პროფესიული ინგლისური სტომატოლოგებისთვის - 1	X	X	
პროფესიული ინგლისური სტომატოლოგებისთვის - 2	X	X	
პათოლოგია (სიმსივნური ზრდის, ნივთიერებათა ცვლის, ტიპიური დარღვევების პათოლოგია, ცენტრალური ჰემოდინამიკის, სასუნთქი სისტემის პათოლოგია)	X	X	
ზოგადი ფარმაკოლოგია სტომატოლოგებისათვის	X	X	
იმუნოლოგია სტომატოლოგებისათვის	X	X	
კერძო მიკრობიოლოგია	X	X	
პათოლოგია (საჭმლის მომნელებელი, შარდის გამომყოფი, ენდოკრინული და ნერვული სისტემების პათოლოგია)	X	X	
საბაზისო კლინიკური უნარები ჩვევები	X	X	
კერძო ფარმაკოლოგია	X	X	
შინაგან სნეულებათა დიაგნოსტიკა	X	X	

ეპიდემიოლოგია სტომატოლოგებისათვის	X	X	
სამედიცინო რადიოლოგია სტომატოლოგებისათვის	X	X	
თერაპიული სტომატოლოგიის პროპედევტიკა	X	X	
სტომატოლოგიურ დაავადებათა პროფილაქტიკა	X	X	X
საფანტომო ოპერაციული ოდონტოლოგია	X	X	
ორთოპედიული სტომატოლოგიის პროპედევტიკა	X	X	X
ზოგადი ქირურგია სტომატოლოგებისთვის	X	X	
საფანტომო ენდოდონტია	X	X	
პირის ღრუს ქირურგია	X	X	
ორთოპედიული სტომატოლოგიის მასალათმცოდნეობა	X	X	X
ალერგოლოგია სტომატოლოგებისთვის	X	X	
კლინიკური ოდონტოლოგია	X	X	X
მოზრდილთა ყბა-სახის მიდამოს ანთებითი დაავადებები	X	X	X
მოუხსნელი ტიპის კბილთ პროთეზები	X	X	X
ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ოდონტოლოგია	X	X	X
კლინიკური ქირურგია სტომატოლოგებისათვის	X	X	
შინაგანი სნეულებანი	X	X	X
ბავშვთა და მოზარდთა ასაკის პირის ღრუს ქირურგია და ყბა-სახის მიდამოს ანთებითი დაავადებები	X	X	
ინფექციური დაავადებები კლინიკური პარაზიტოლოგიით	X	X	X
კლინიკური ენდოდონტია	X	X	X
პრეკლინიკური პაროდონტოლოგია	X	X	
მოზრდილთა სანერწყვე ჯირკვლების და საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრ პათოლოგიები	X	X	X
ნაწილობრივი ადენტიის მკურნალობა მოუხსნელი ტიპის ხიდისებურ კონსტრუქციებით	X	X	X
ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ენდოდონტია	X	X	X
ბავშვთა და მოზარდთა ასაკის საფეთქელ - ქვედა ყბის სახსრის დაავადებები და ყბა-სახის მიდამოს ტრავმატოლოგია	X	X	
ორთოდონტია (ყბა-კბილთა სისტემის განვითარების	X	X	X

თავისებურებები)			
კლინიკური პაროდონტოლოგია	X	X	X
მოზრდილთა ყბა-სახის მიდამოს ნერვების დაავადებები და ტრავმატოლოგია	X	X	X
ნაწილობრივი ადენტიის მკურნალობა მოსახსნელი ტიპის კონსტრუქციებით	X	X	X
ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ყბა-სახის განვითარების თანდაყოლილი მანკები	X	X	
ორთოდონტია (ყბა-კბილთა ანომალიები)	X	X	X
ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებანი სტომატოლოგებისთვის	X	X	
დერმატოვენეროლოგია სტომატოლოგებისთვის	X	X	
პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები	X	X	X
მოზრდილთა პირის ღრუსა და ყბა-სახის მიდამოს სიმსივნისმაგვარი და სიმსივნური წარმონაქმნები	X	X	
უკბილო ყბების პროთეზირება	X	X	X
ბავშვთა და მოზარდთა ასაკის პაროდონტისა და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაავადებები და ანომალიები	X	X	X
ორთოდონტიაში გამოყენებული აპარატები და მათი ბიომექანიკა	X	X	
ყბა-სახის მიდამოს აღდგენითი ქირურგია, დენტალური იმპლანტოლოგიით	X	X	X
პაროდონტის დაავადებათა ქირურგიული მკურნალობა	X	X	X
ყბა-სახის ტრავმატოლოგია აღდგენითი ორთოპედიით	X	X	
ბავშვთა და მოზარდთა ასაკის პირის ღრუსა და ყბა სახის მიდამოს სიმსივნეები	X	X	
ორთოდონტია (განვითარების თანდაყოლილი მანკები, საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის დაავადებები და ტრავმული დაზიანებები)	X	X	X
თერაპიული სტომატოლოგია; ბავშვთა და მოზარდთა ასაკის თერაპიული სტომატოლოგია (ინტეგრირებული კურსი)	X	X	X

ქირურგიული სტომატოლოგია; ბავშვთა და მოზარდთა ასაკის ქირურგიული სტომატოლოგია (ინტეგრირებული კურსი)	X	X	X
ფილოსოფიის საფუძვლები	X	X	
მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია	X	X	
ფსიქოლოგიის საფუძვლები	X	X	
საქმიანი ურთიერთობები და ეტიკეტი	X	X	
ჰიგიენა	X	X	
სოციოლოგია	X	X	
მედიცინის ისტორია	X	X	
პედიატრია სტომატოლოგებისთვის	X	X	
ფიზიოთერაპიის პრინციპები	X	X	
ნუტრიციოლოგია	X	X	